

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის გაწეული მუშაობის**

ა ნ გ ა რ ი შ ი

2016 წლის 15 მაისიდან 15 ივნისის ჩათვლით კომისიამ ჩაატარა ორი სხდომა, ერთი სხდომა გახლდათ ერთობლივი აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიასთან ერთად, აღნიშნული კომისიების სხდომის დროს განხილული იქნა ორი საკითხი.

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე პროექტების შესახებ.

მომხს: ტ.აროშიძე

თანამომხს: გ. აბაშმაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.


მომხს: თ. ქინქლაძე

პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა მოისმინეს და განიხილეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე პროექტების შესახებ“ - მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გ. აბაშმაძის ინფორმაცია. კომისიის წევრების ერთობლივი აზრით აუცილებელია სატენდერო პირობებში ჩაიდოს საბანკო გარანტია, აქედან გამომდინარე კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე პროექტების შესახებ - მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გ. აბაშმაძის ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ „მუნიციპალური მომსახურების ცენტრის“ წარმომადგენლის თ. ქინქლაძის ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

ტარიელ აროშიძე



კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია